



MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

აპრილი - აგვისტო, 2024

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს
საგადასახადო კოდექსში

გვერდი 1-2

ცვლილება საქართველოს ფინანსთა
მინისტრის ბრძანებაში №996

გვერდი 2-3

შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანებები

გვერდი 3

მეთოდური მითითება

გვერდი 3



სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge



MOORE

T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
Address: 12 Tsintsadze Str/ 2 Davit
Gamrekeli Str., 0160, Tbilisi, Georgia

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

1. აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე

ამა წლის 13 ივნისიდან 188-ე მუხლის „აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა)“ პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფა „თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

განხორციელებული ცვლილებით სეს ესნ-ის 2401, 2403 11 000 00, 2403 19, 2403 91 000 00 და 2403 99 100 00 კოდებში შემავალ თამბაქოს ნაწარმზე შეიცვალა აქციზის განაკვეთები და 1 კგ-ზე 60 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 30 ლარი.

2. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 ივნისის N194 დადგენილება

309-ე მუხლის 145-ე ნაწილის შესაბამისად, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 ივნისის N194 დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გათვალისწინებული გადაუხდეელი მოსაკრებლის, ჯარიმისა და საურავის ჩამოწერის წესი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 144-ე ნაწილის მიხედვით, პირს ჩამოეწერება მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის გათვალისწინებული მოსაკრებლის გადაუხდეელი ოდენობა და მასთან დაკავშირებული გადაუხდეელი ჯარიმა და საურავი, თუ პირს 2023 წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისი ლიცენზიით არ უსარგებლია, კერძოდ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი არ ჩამოუსხამს და ამასთანავე კმაყოფილდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- 1) პირი 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით **აღარ ფლობს მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გაცემულ ლიცენზიას;**
- 2) პირმა 2024 წლის 1 აპრილამდე მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის ლიცენზიის გამცემ ორგანოს მიმართა ამ ლიცენზიის გაუქმების შესახებ და 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით **არ უსარგებლია აღნიშნული ლიცენზიით, კერძოდ, არ ჩამოუსხამს მიწისქვეშა მტკნარი წყალი.**

ზემოაღნიშნული წესის თანახმად, პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს განცხადებას, რომელშიც ასახულ უნდა იქნას შემდეგი მონაცემები:

- 1) **პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი** ან სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ასევე, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- 2) მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის **გაცემული ლიცენზიის** (რომლის საფუძველზეც წარმოშობილია მოსაკრებელი და მასთან დაკავშირებული ჯარიმა და საურავი) **ნომერი და გაცემის თარიღი;**
- 3) პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის განცხადების წარდგენის თარიღის მდგომარეობით არსებული გადაუხდეელი მოსაკრებლის, ჯარიმისა და საურავის ოდენობა, რომელიც წარმოიშვა იმ ლიცენზიის საფუძველზე, რომლითაც გადამხდელს არ უსარგებლია - **მტკნარი წყლის ჩამოსხმა არ განხორციელებულა.**

პირველი პირობის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ/ლიცენზიის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ პირი, 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით აღარ ფლობს მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გაცემულ ლიცენზიას.

მეორე პირობის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ლიცენზიის გამცემი ორგანოსათვის წარდგენილი შესაბამისი განცხადება. განცხადების წარდგენა შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან, <https://eservices.rs.ge> კომუნიკატორის მეშვეობით, ასევე მატერიალური ფორმით.

3. საგადასახადო კოდექსში N4197-XIVმს-Xმპ საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილება

საქართველოს საგადასახადო კოდექსში N4197-XIVმს-Xმპ საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებით, კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ჩამოწერას ექვემდებარება ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი.

ცვლილება შევიდა ასევე შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში, რომლის მიხედვით, ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება შესაძლებელია ჩამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 681-ე მუხლის შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

- გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე;
- დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- გადასახადის გადამხდელის მომართვის გარეშე (პროგრამულად ან/და ინდივიდუალური შესწავლის გზით).

გადამხდელს საგადასახადო დავალიანება პროგრამულად ჩამოეწერება, თუ 2021 წლის 1 იანვრის შემდგომ ჩამოწერის მომენტამდე პირადი აღრიცხვის ბარათზე (მათ შორის, დროებითი აღრიცხვის ბარათზე) არ უფიქსირდება გატარებული ოპერაციები. ჩამოწერას ექვემდებარება ჩამოწერის მომენტისთვის არსებული დავალიანება, ხოლო იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი, ჩამოწერის მომენტისთვის გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება და უფიქსირდებათ ოპერაციები 2021 წლის შემდგომ პერიოდზე, საგადასახადო დავალიანება შესაძლოა ჩამოეწეროს ინდივიდუალურად შესწავლის გზით, გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე ან დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცვლილება ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

1. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“

ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში 22.05.2024 წელს განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართ „ა“-ს (ინფორმაცია საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ) მე-14 სვეტს შეეცვალა სახელწოდება და აღნიშნულ სვეტში აისახება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაქირავებულისათვის ხელფასიდან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადის (სვ.11) თანხას.

ამ გრაფაში საგადასახადო აგენტის მიერ შესაბამისი თანხა აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე განაცემზე გადასახადის დაკავების უფლება წარმოექმნება როგორც ხელშეკრულებით სახელმწიფოს, ისე მეორე სახელმწიფოს და უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

ცვლილება ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

2. ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში 27.05.2024 წელს შესული ცვლილებით ინსტრუქციას 66 პრიმა 5 მუხლის შემდეგ დაემატა 66 პრიმა 6 მუხლი, ხოლო ინსტრუქციის XVI პრიმა 3 თავს შეეცვალა სათაური, კერძოდ, ინსტრუქციის XVI პრიმა 3 თავის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი“.

ასევე, ინსტრუქციას დაემატა 66 პრიმა 6 მუხლი „უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება“, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162 პრიმა 1 მუხლის მე-4 ნაწილის მიზნისთვის განისაზღვრა უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც მოიცავს მომსახურების მხოლოდ ისეთ სახეებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ უძრავ ნივთთან. მომსახურება უძრავ ნივთთან უშუალოდ დაკავშირებულად ჩაითვლება შემდეგ შემთხვევებში:

თუ მომსახურება გამომდინარეობს უძრავი ნივთიდან, რომელიც წარმოადგენს მომსახურების შემადგენელ განუყოფელ ელემენტს. ამასთანავე, აღნიშნული მომსახურების გაწევა შეუძლებელია უძრავი ნივთის გარეშე;

თუ მომსახურება გაწეულია უძრავ ნივთთან მიმართებით, მათ შორის, თუ იგი მიზნად ისახავს უძრავი ნივთის ნებისმიერი სახის ფიზიკურ ცვლილებას ან სამართლებრივი სტატუსის რაიმე ფორმით ცვლილებას.

66 პრიმა 6 მუხლის მესამე პუნქტით ასევე განისაზღვრა შემთხვევები, რომლებსაც არ მოიცავს ამ მუხლის პირველი პუნქტი.

3. ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში 01.07.2024 წელს შესული ცვლილებით ინსტრუქციას დაემატა 7 პრიმა 2 მუხლი დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ, კერძოდ:

- 1) „მუხლი 72. დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებები
- 2) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) ვალდებულია, განახორციელოს:

ა) საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენა;

ბ) საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის რეგისტრაციიდან მოხსნა;

გ) ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტ(ებ)ის განაშთვა;
დ) ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)ში ბოლო საბანკო/საგადახდო ანგარიშის დახურვა;

ე) მატერიალური ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) განაშთვა;

ვ) მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, მათ შორის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდება/განაშთვა;

ზ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები“.

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები

1. შემოსავლების სამსახურის უფროსის სხვადასხვა ბრძანებების საფუძველზე დამტკიცდა ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები შემდეგ საქონელზე: სოიოს შროტი, მზესუმზირის შროტი, მანუთი, საპოხი ზეთი, მეთილ-ტრეტ ბუტილეთინის ეთერი, ვაკუუმური გაზოილი. აღნიშნულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები დამტკიცდა სხვადასხვა პროცენტზე, კერძოდ:

- სოიოს შროტისა (სეს ესნ კოდი: 2304) და მზესუმზირის შროტის (სეს ესნ კოდი: 2306) შენახვის დანაკარგი განისაზღვრა მასიდან 0.5%-ის ოდენობით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს ქვეყნის შიგნით ნებისმიერი ფორმით ტრანსპორტირების დანაკარგს;
- მეთილ-ტრეტ ბუტილეთინის ეთერი (სეს ესნ კოდი: 2909 19 90) - სარკინიგზო გადაზიდვის პროცესისთვის დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 0.39%-ის ოდენობით;
- ვაკუუმური გაზოილი (სეს ესნ კოდი: 2710 19 310 00, 2710 19 350 00) - შენახვის პროცესისთვის დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 0.56%-ის ოდენობით;
- მანუთი (სეს ესნ კოდი: 2710 19 620 00, 2710 19 660 00, 2710 19 670 00) - შენახვის დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 0.97%-ის ოდენობით;
- საპოხი ზეთი (სეს ესნ კოდი: 2710 19 710 00) - სარკინიგზო გადაზიდვების დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 0.98%-ის ოდენობით.

2. შემოსავლების სამსახურის უფროსის 25.04.2024 წლის №9732 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა პროცედურული სახელმძღვანელო „საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის გამოცემის შესახებ“.

სახელმძღვანელოს შესაბამისად განისაზღვრა შუალედური აქტის გამოცემის 4 ძირეული, სხვადასხვა სპეციფიკით განპირობებული საფუძველი, კერძოდ:

- **არასადავო საკითხები:** იგულისხმება გადასახადის გადამხდელის მიერ თანხმობის წარმოდგენა საგადასახადო შემოწმებით გამოვლენილ იმ საკითხების თაობაზე, რომელთა მიმართ მას პრეტენზია არ გააჩნია და შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილზე შედგენილ შუალედურ აქტს და მის საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნას იგი არ გახდის სადავოდ.

აღნიშნული, გადასახადის გადამხდელს უფლებამოსილებას ანიჭებს მოითხოვოს არასადავო ნაწილში შუალედური აქტით შეფარდებული ჯარიმის 50 პროცენტის გაუქმება, თუ პარალელურად იგი დააკმაყოფილებს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოთხოვნებს;

- **პირდაპირი მტკიცებულებებით გამყარებული საკითხები:** იგულისხმება საგადასახადო შემოწმების ფარგლებში იმ საკითხების გამოვლენა, რომელთა გასაჩივრების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაკმაყოფილების პერსპექტივა აუდიტორის მიერ მოპოვებული პირდაპირი მტკიცებულებიდან გამომდინარე იქნება დაბალი;
- **ხანდაზმულობამოახლოებული პერიოდი:** იგულისხმება შესამოწმებელი მთლიანი პერიოდის ნაწილის მიმართ ხანდაზმულობის მოახლოება;
- **სხვა სპეციფიკური საკითხი:** იგულისხმება საგადასახადო შემოწმების ფარგლებში სხვა სპეციფიკური საკითხების გამოვლენა.

მეთოდური მითითება

დამტკიცდა ასეთი მეთოდური მითითება:

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 5 აპრილის №7630 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამომანგარიშების შესახებ“. ზემოაღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამომანგარიშების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 19 ივლისის №23360 ბრძანება.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 21 მაისის №11601 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის შესახებ“.

მეთოდური მითითება განსაზღვრავს საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიჩნევის, ასეთი შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრისა და საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესებს და პირობებს. მეთოდურ მითითებაში ასევე განხილულია მაგალითები.

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის "Moore Global Network Limited" - ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2023 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 4.5 მილიარდი აშშ დოლარი.



>114

ქვეყანაში



>260

წევრი



>579

ოფისი




>37,000

თანამშრომელი

MOORE Abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

OUR SERVICES



www.moore-georgia.ge